MES 5 23 0000122334

03/02/2023

სსაგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 20.01.2023
სხდომის დაწყების დრო: 14:40 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:20სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით .

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი -** შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
4. **ირინა გველესიანი - სსიპ -** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
6. **მაკა კაჭარავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
7. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
9. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე მოწვეული წევრები:

1.ივანე აბიათარი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და “მედიცინის სკოლის” ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

2. **ზაზა ავალიანი** - შპს “ევროპის უნივერსიტეტის” მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

3. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი;

4. **მარინე გელანტია** - სს „ჩაჩავას კლინიკის“ გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

5. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

6. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;

7. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;

8. **დავით თათოშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;

9. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;

10. **ბიძინა კულუმბეგოვი** - შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის“ კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

11. **ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;

12. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

13. **ნინო შარიქაძე** - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;

14. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ანა ჯუღელი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**გვანცა ძიძიგური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	კახა შენგელია	**შპს კავკასიის უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის პრეზიდენტი	I
2.	ნუგზარ სხირტლაძე		ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	I
3.	ბორის ლეჟავა		ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში	I
4.				I

	დიანა მჭედლიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	
5	ნათა ქორქაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მენეჯერი	I
6	გიორგი მახარაშვილი		მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის დეკანი, „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი	I
7	ზვიად კირტავა		„დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი	I
8	ნინო ჩალაბაშილი		მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი	I
9	ნანუკი მიხანაშვილი		მედიცინისა და ჯანდაცვის მენეჯმენტის სკოლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ადმინისტრაციული დირექტორი	I
10	მაკა ბერიძე	**სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	რექტორი	II, III
11	მერაბ ბერიძე		რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში	II, III
12	ნინო მილაშვილი		ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III
13	გულიკო ბექაური		განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	II, III
14	მაია ქუქჩიშვილი		ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი	II, III
15	ნიკოლოზ ახალკაცი		ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;	II, III

			საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	
16	ვასილ მოსიაშვილი		საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელია	II, III
17	როინ ყაველაშვილი		საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III
18	გულიკო ჯანოვა		ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III
19	მაკა მურვანიძე		ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II, III
20	ნინო გვაზავა	**შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
21	თამუნა ხვედელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
22	ვაჟა ფირცხალაიშვილი		პროგრამის განვითარების მრჩეველი	IV
23	თამარ გვიანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
24	ლევან ჯაყელი	**სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ფაკულტეტის დეკანი	VI
25	ირაკლი გორგილაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VI
26	მურმან გორგოშაძე		სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	VI
27	ადამ მახარაძე		სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	VI
28	მალხაზ ნაკაშიძე		სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	VI
29	სოლომონ მენაბდიშვილი		სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VI
30	ომარ ფარტენაძე		სამართლის დეპარტამენტის ხელმძღვანელი	VI

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	მიჰაი ბოროში	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თინათინ გოგნაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	თამარ გიდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

4	ირაკლი გაგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	გორგი მღვდელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	იაკუბ ბასისტა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თეიმურაზ პაპასქირი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ვაჟა მამიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	თამთა კობახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ჯოვანა აბლოტია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
11	ინგა დიაკონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ეკატერინე ბაკარაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ქეთევან გრძელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	გოგა ხოსიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
15	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
16	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
17	მარინე ხიზანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
18	ვასილ კუპატაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
19	თორნიკე ხოშტარია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
20	მაკა კარტოზია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
21	ნინო მესხიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:40 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო, ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და ,,საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა DevOps" სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხი;

6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო აგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხი.
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხი.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო, ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და ,,საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა DevOps" სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხი;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო აგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხი.
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხი.

1.პირველი საკითხი : შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 მედიცინა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, 0102, პაატა სააკაძის N1
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- გურანდა ჭელიძემ, ლევან მოსახლიშვილმა და ნათია-ზედგენიძე ჯიშკარიანმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის პროცედურულ ან აკადემიურ საკითხებთან დაკავშირებული რეგულაციები და სახელმძღვანელო პრინციპები მკაფიოა და ისინი სრულად ხელმისაწვდომი იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის. დაგეგმილია, რომ კავკასიის უნივერსიტეტის (შემდგომში CU) დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს ქართულ ენაზე. პროგრამა მთლიანობაში შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS) და მოიცავს 360 ECTS კრედიტს (ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს); პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს ექვს აკადემიურ წელს - 12 სემესტრით. ყოველი სასწავლო წელი შედგება საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრებისაგან, თითოეული გრძელდება 20 კვირა; შესაბამისად, ყოველი სასწავლო წელი 4 შეადგენს 40 კვირას; პროგრამა იგეგმება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, ეროვნული კვალიფიკაციების განახლებული ჩარჩოსა და ცენტრის მიერ განსაზღვრული უმაღლესი სამედიცინო განათლების მოქმედი დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად. პროგრამა ეფუძნება სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ხარისხის განვითარების გლობალურ სტანდარტებს (WFME, 2020) და სამედიცინო განათლების

ასოციაციის (AMEE) სახელმძღვანელო მითითებებს. პროგრამაში შედის ინგლისური ენის B2 დონის სავალდებულო სასწავლო კურსი.

ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა, რომ მისაღები სტუდენტების რაოდენობა და სტუდენტთა/პედაგოგთა თანაფარდობა ადეკვატურად არის დაგეგმილი და ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამის დაწყებას, სწავლების შესაბამისი მეთოდებით. უსდ-ს განსაზღვრული აქვს კურსების შინაარსი, მასშტაბი და თანმიმდევრობა და აღწერილი აქვს კურიკულუმის სხვა ელემენტები, მათ შორის - ბალანსი ძირითად და არჩევით კონტენტს შორის. პროგრამის კომპონენტები ჰარმონიაშია დაწესებულების მისიის განაცხადთან. უსდ იყენებს რამდენიმე სტანდარტულ და თანამედროვე მეთოდს და ტექნოლოგიას სწავლის შედეგების გასაზომად, რომლებიც ზოგადად ნათლად და ლოგიკურად არის განაწილებული და შეესაბამება პროგრამების მიზნებს. მთლიანობაში, სტრუქტურა არის მყარი და მკაფიო და აადვილებს ანალიზს.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის წევრთა უმრავლესობას უკვე მიღებული აქვთ მონაწილეობა კავკასიის უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი, აკრედიტებული დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროცესის შეფასებაში, რომლის დროსაც, მთლიანი სტრუქტურის დეტალური განხილვის გარდა, კიდევ ორი კლინიკური სასწავლო ბაზა დათვალიერდა _ რეიმანის და თოდუას კლინიკები (2022 წლის 3-4 თებერვალს). ამგვარად, წარსული ცოდნითა და სიღრმისეული ინფორმაციის ფლობით - ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შედარებების შესაძლებლობა, რომ შეეფასებინა, რამდენად გაითვალისწინა დაწესებულებამ წინა აკრედიტაციის დროს ჩამოყალიბებული რჩევები და შეთავაზებები. რამდენადაც, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სამედიცინო პროგრამების განხორციელების, შეფასებისა თუ სხვა ძირითადი ელემენტები თითქმის იდენტურია, თავი შევიკავეთ გამეორებებისგან ისეთ სიტუაციებსა თუ პოზიციებში, რომლებიც სტანდარტთან მიმართებაში არ განსხვავდება ან არსებითად არ შეცვლილა. ასეთ შემთხვევებში, ვიხელმძღვანელებთ წინა ექსპერტთა ანგარიშით (2022 წლის 22 მარტის) და გირჩევთ, კიდევ ერთხელ, მხედველობაში მიიღოთ მისი ანალიტიკური შედეგები.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამაში სასწავლო კურსების გადახედვა და მათი ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება;
2. რეკომენდებულია, კომპეტენციების რუკის კურსის/მოდულის სილაბუსებთან შესაბამისობაში მოყვანა.
3. რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურის განახლება და ჩანაცვლება ახალი ან ქართულენოვანი გამოცემებით, ან "ჰენდაუთების" დამზადება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით.
4. რეკომენდებულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა და კორექტირება კურსის შესაბამისი შედეგების უკეთ მისაღწევად.

5. რეკომენდებულია , სიზუსტის მიზნით, სილაბუსებში წარმოდგენილი მონაცემების (აქტივობების დრო, გამოცდების, ლექციების, პრაქტიკების ხანგრძლივობა და და ა.შ.) შემოწმება და გასწორება.
6. რეკომენდებულია კლინიკური უნარების ლაბორატორიაში სპეციალისტების/ტუტორების დაქირავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტების სასწავლო პროცესს და დააკმაყოფილებენ მათ საჭიროებებს.
7. რეკომენდებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდისა და სხვა თანამედროვე შეფასების მეთოდების გამოყენება სწავლის შედეგების/კომპეტენციების შეფასებისთვის კლინიკურ საგნებში.
8. რეკომენდებულია ყველა სწავლის შედეგის და კომპეტენციის შეფასება სასწავლო კურსებში.
9. რეკომენდებულია ყველა სილაბუსის შეფასების მეთოდის რაოდენობის გადახედვა კურსის ხანგრძლივობისა და საკონტაქტო საათების მიხედვით.
10. საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ ყველა კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება წარმოდგენილი უნდა იყოს დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან პროგრამაზე.
11. აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში უნდა მოხდეს რეგულარულად (ყოველ 2 წელში ერთხელ) და ეს უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი სერთიფიკატებით. ეს სერთიფიკატები წარმოდგენილი უნდა იყოს პირად საქმეში. წარმოჩენილი უნდა იყოს ლექტორების გადამზადება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად;
12. რეკომენდებულია, კვლევითი საქმიანობისა და შედეგების უწყვეტი და სისტემატური მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, ეროვნულ და საერთაშორისო ხილვადობას.
13. რეკომენდებულია კლინიკური უნარების ლაბორატორიის გადაკეთება პრაქტიკისა და ტრენინგებისთვის. უნდა გაიზარდოს სივრცე შესაბამისი სიმულაციური ოთახებისთვის და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ტექნიკური საშუალებები, მანეკენები და სიმულატორები სტუდენტთა გაზრდილი ოდენობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა და ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უახლესი ლიტერატურის არსებობა არ არის მხოლოდ უნივერსიტეტის პრობლემა, აღნიშნული არის ზოგადად სამედიცინო ბაზრის პრობლემა, ვინაიდან ქართულ ენაზე საკმაოდ ცოტა ლიტერატურა ითარგმნება. თუმცა ინსტიტუცია ამ პრობლემგას სხვადასხვაგვარად უმკლავდება, პირველი ეს არის ჰენდაუთების შემუშავება, რომლებთანაც წვდომა სტუდენტებს აქვთ ელექტრონული ბაზის მეშვეობით. ამასთან სტუდენტი პირველი კურსიდან სავალდებულო საგნის სახით სწავლობს ინგლისურ ენას, რის შედეგადაც სავალდებულოა რომ მეორე კურსისთვის ის ცოდნის B2 დონემდე ავიდეს, რათა მან უკვე შეძლოს ინგლისურენოვან ლიტერატურასთან მუშაობა.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, ხარვეზი იყო ტექნიკური ხასიათის, რაც დაწესებულების მიერ უკვე გასწორებული იქნა. გასწორებული სილაბუსები დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებულ მოსაზრებასთან ერთად.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული რეკომენდაცია ცოტა უცნაური ხასიათისაა ვინაიდან დაწესებულებას ჰქონდა ავტორიზაციის ვიზიტი შესაბამისად სტაფის დამატების მოთხოვნის შესახებ რეკომენდაცია არ იყო შესაბამისი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკონტაქტო საათებში ლექტორის მიერ ჩვეულებრივად ხდება შესაბამისი ცოდნის გაზიარება, რაც შეეხება დამოუკიდებელ საათებს, ამ შემთხვევაში სტუდენტები მუშაობენ დამოუკიდებლად. შესაბამისად, დაწესებულებისთვის

მიუღებელია რეკომენდაციას იმასთან დაკავშირებით რომ უნივერსიტეტმა აიყვანოს კადრი იმისთვის რომ აღნიშნული პიროვნება სტუდენტებს დაეხმაროს დამოუკიდებლად მუშაობის დროს.
რაც შეეხება რეკომენდაციას შეფასებების რაოდენობასთან დაკავშირებით, მოცემული ეხებოდა მხოლოდ ერთ საგანს კერძოდ, ,,უჯრედულ და მოლეკულურ ბიოლოგიას". უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვის ფორმასა და შეფასების მეთოდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი, რაც მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. გამომდინარე აქედან, კურსის ხელმძღვანელს აქვს სრული აკადემიური თავისუფლება.
უნდა აღინიშნოს ასევე მე-10 რეკომენდაცია, კერძოდ დაწესებულება მოცემულ რეკომენდაციას არ ეთანხმება. ყველა კლინიკასთან, რომელთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი, ხელშეკრულების დონეზე არის დადასტურებული, რომ უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამაზე მათთან თანამშრომლობს, რაც აქტიურად ხორციელდება ინგლისურენოვან პროგრამაზე, რაც ექსპერტებს როგორც ადგილზე, ასევე დოკუმენტურად შეეძლოთ ენახათ. ამ ეტაპზე, დაწესებულებასა და პარტნიორებთან მიმდინარეობს ხელშეკრულებების განახლება ახალი დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მე-12 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ უნდა აღინიშნოს, რომ კვლევითი საქმიანობა კავკასიის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. დაწესებულებას აქვს კვლევის ხელშეწყობის ცალკე დეპარტამენტი, რომელიც შედის ვიცე-პრეზიდენტის დაქვემდებარებაში. ამასთან აფილირებულ და აკადემიურ პერსონალს, კონტრაქტის შესაბამისად, აქვს კვლევის ჩატარების ვალდებულება, რავ კიდევ უფრო ზრდის კვლევის რაოდენობას. გარდა იმისა, რომ ხელშეწყობის ცალკე დეპარტამენტი არსებობს, ცალე უნდა აღინიშნოს, რომ ფინანსური ხელშეწყობა სრულიად უზრუნველყოფილის დაწესებულების მიერ, რაც იმას ნიშნავს რომ უნივერსიტეტის შიგნით ხდება გრანტების გაცემა და კვლევების დაფინანსება. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის ყოველწლიურად ატარებს შიდა სასკოლო სამეცნიერო კონფერენციას, რომელიც არის სავალდებულო ნაწილი, რაც სრულიად წახალისებულია ინსტიტუციის მიერ. იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ უნივერსიტეტის შიდა დაფინანსების მიღება, მოცემულ კონფერენციაში მონაწილეობა სავალდებულოა.
მე-13 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს ლაბორატორიების განვითარებაზე. ამასთან, ლაბორატორიაში ერთ დღეში არის 4 სასწავლო ჯგუფის გატარების შესაძლებლობა, შესაბამისად კვირის განმავლობაში 6 ჯგუფს რომელიც ლაბორატორიას იყენებს შეუძლია გამოიყენოს დღე ნახევარი, დანარჩენი ოთხ დღე ნახევარი ლაბორატორია სრულიად თავისუფალია. შესაბამისად, გაურკვეველია თუ რისთვის არის საჭირო ლაბორატორიის გაზრდა, როდესაც მისი 30იც კი არ არის გამოყენებული ყოველკვირეულად.
პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის კურიკულუმი სრულიად შესაბამისობაშია დარგობრივ მაჩვენებელთან. კურიკულუმში სასწავლო კურსების თანმიმდევრობა ასევე ლოგიკურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული, შესაბამისად, რეკომენდაციაში მოყვანილი ცალკეული დასაბუთებები არ უნდა ჩაითვალოს აუცილებელ მოთხოვნად, რადგან არსებობს სხვა არგუმენტები, რომლითაც დაწესებულებამ იხელმძღვანელა სასწავლო კურსების ამგვარად დალაგების დროს. ექსპერტების მიერ კრიტიკულად იქნა შეფასებული ,,პირველადი დახმარების" სასწავლო კურსის ჩასმა პირველივე სემესტრში, რადგან ისინი თვლიან, რომ გულის მასაჟის პირველივე სემესტრში შესწავლა არის შეუსაბამო. მნიშვნელოვანია, რომ პირველადი დახმარების აღნიშნული კურსი წარმოადგენს საწყის შეხებას მოცემულ სფეროსთან და მიზნად ისახავს სტუდენტის პირველად ორიენტაციას კლინიკურ გარემოში, რაც ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიისა და დოკუმენტების თანახმად აუცილებელია საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლების პირველივე წელს მოხდეს, ამდენად ამისთვის სავალდებულოა არ არის კარდო-რესპირატორული სისტემების ოთხოვე მოდულის

სრულყოფილი ცოდნა. ამასთან, ექსპერტების მიერ ასევე შეფასდა ,,პარაზიტოლოგიის“ სასწავლო კურსის მე-7 სემესტრში სწავლების საკითხიც, კერძოდ უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული მიკრობიოლოგიასთან უფრო ახლოს ყოფილიყო გადმოტანილი. უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული საგნის თანმიმდევრობის შეცვლის შედეგად აუცილებელი გახდებოდა სხვა საგნების უფრო გვიან სწავლება, რაც უფრო მეტად დაარღვევდა კურიკულუმის ლოგიკურ თანმიმდევრობას. გარდა ამისა, დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ სხეულის სისტემების ერთზე მეტი ნაწილი არ უნდა ისწავლებოდეს ერთსა და მავე სემესტრში. ამ ეტაპზე მოცემული მოდული გადანაწილებულია 4 სემესტრზე, რეკომენდაციის გათვალისწინების შედეგად კი აუცილებელ გახდებოდა მოდულის 6 ან 8 სემესტრზე გადანაწილება, რაც ხელს შეუშლიდა სხვა საგნების სწავლების დაწყებას.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, დაწესებულება მას ნაწილობრივ იზიარებს. არსებულ ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით აუცილებლად იქნება შეხვედრა აკადემიურ პერსონალთა და იქნება აუცილებელი ცვლილებები გატარებული.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველადი ანგარიშის მირების შემდეგ დაწესებულების მიერ დეტალურად იქნა წარმოდგენილი საათობრივ განაწილება და OSCE-ს გამოყენების საკითხი პროგრამის ფარგლებში. 53 კლინიკური სასწავლო საგნიდან, 57%-ში დაწესებულება ახორციელებს OSCE-ს, ანუ 34 საგანში, 11 საგანში არის შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია. საბოლოო ჯამში 54 საგნიდან 47-ში სრულიად არის გამოყენებული შეფასების თანამედროვე მეთოდები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაია ბიწკინაშვილმა დააზუსტა თუ რამ განაპირობა ქართულენოვანი მედიცინის პროგრამის შექმნა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ დააზუსტა თუ როდიდან აპირებს უნივერსიტეტი პროგრამის განხორციელების დაწყებას და რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავს. ამასთან, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ საათების გადანაწილების საკითხი როგორ იქნა შეფასებული, ვინაიდან მოცემულ სფეროში საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე რთულია ყველა საგნის ერთიანად შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდს ეფუძნება და განსხვავდება კურსის/მოდულის/როტაციის შინაარსსა და სწავლის შედეგების მიხედვით. თუმცა, საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაო საათების თანაფარდობა ზოგიერთ კურსში საჭიროებს გადახედვას: სხეულის სისტემა I – 61/139 სთ, სხეულის სისტემა V – 33/67 სთ, ტრავმატოლოგია და ორთოპედია – 50/100 სთ, კრიტიკული მკურნალობა და გადაუდებელი მედიცინა – 50/100, ალერგოლოგია და კლინიკური იმუნოლოგია – 50/100. გარდა ამისა, როგორც ჩანს, სილაბუსებში წარმოდგენილი მონაცემები (აქტივობების დრო, გამოცდების ხანგრძლივობა, ლექციები, პრაქტიკა და ა.შ.) უნდა შემოწმდეს და გადამოწმდეს მათი სიზუსტე. მიუხედავად იმისა, რომ მოდულში საკითხების გაერთიანება დადებითად უნდა შეფასდეს, 14 კვირის განმავლობაში სტუდენტი სწავლობს ორ მოდულს პარალელურად. მოდული „სხეულის სისტემა“ ინტეგრირებულია, მოდულები ეფუძნება სხეულის სისტემების სტრუქტურასა და ფუნქციებს (ანატომია, ჰისტოლოგია, ფიზიოლოგია, ბიოქიმია) და სინქრონიზებულია ორგანოთა სისტემების შესაბამისად, ხუთ ნაწილად. კურიკულუმის თანახმად, სტუდენტი მეორე სემესტრში, ერთმანეთის პარალელურად სწავლობს სხეულის სისტემები I-ს (ნერვული სისტემა) და სხეულის სისტემები II -ს (რესპირატორული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა). იგივე შემთხვევა გვაქვს სხეულის სისტემები IV-ის (საშარდე და რეპროდუქციული სისტემა) და სხეულის სისტემები V-ის შემთხვევაში (გრძნობის ორგანოები) - ეს მოდულები ასევე ერთმანეთის პარალელურად ისწავლება მეხუთე სემესტრში. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მისაღწევად, რეკომენდებულია მოდულები სემესტრებზე გადანაწილდეს ისე, რომ ერთ სემესტრში ისწავლებოდეს სხეულის ერთი სისტემა.

ასევე, სასწავლო კურსი „პირველადი დახმარება“ ისწავლება პირველ სემესტრში ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალ კლინიკაში. კურსის ფარგლებში, სტუდენტი სწავლობს გულ-ფილტვის რეანიმაციას, გულის პირდაპირ და არაპირდაპირ მასაჟს, საგანგებო სიტუაციის მართვას, ეს მაშინ, როდესაც გულსისხლძარღვთა სისტემის ნორმალური სტრუქტურისა და ფუნქციის სწავლება იწყება მეორე სემესტრიდან. ამასთან, პარაზიტოლოგიის კურსი პროგრამაში მეშვიდე სემესტრში ისწავლება, თუმცა უკეთესი იქნებოდა თუკი უფრო ადრეულ სემესტრში, მიკრობიოლოგიასთან ახლოს იქნება განსაზღვრული.

შეფასების სხვადასხვა მეთოდის მიუხედავად, ზოგიერთ კურსში სწავლის ყველა შედეგი და კომპეტენცია არ არის შეფასებული: კლინიკური უნარები I – კურსის შედეგი: სტუდენტები ავლენენ შემდეგ უნარებს: არტერიული წნევის გაზომვა, ხელების დაბანა და ხელთათმანების ტარება; პერიფერიული ვენების პუნქცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (მამაკაცისა და ქალის სიმულატორებზე, ელექტროკარდიოგრამის აღება; გულისა და ფილტვების აუსკულტაცია, გულისცემისა და ამოსუნთქვის სიხშირის განსაზღვრა და შეფასება; თუმცა შუალედური და საბოლოო გამოცდები არის წერილობითი შეფასებები, ნიმუში MCQ-ის მიხედვით. სილაბუსის ბოლოში აღნიშნულია, რომ: „პროგრამის სწავლის შედეგების ეტაპობრივ შეფასებას (პაციენტის კონსულტაცია და პრაქტიკული უნარების შესრულება) მოხდება OSCE-ით კურსის - „კლინიკური უნარები 2“ (მე-3 სემესტრის ბოლოს) შემდეგ. რეკომენდებულია, რომ თუ სტუდენტის პრაქტიკული უნარები კურსში ვერ შეფასდება, უმჯობესი იქნება სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ისე დარეგულირდეს, რომ ისინი იზომებოდეს სილაბუსში გამოყენებული შეფასების მეთოდებით - ან დაემატოს OSCE-ს გამოცდები.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მემორანდუმი კლინიკებთან ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი ყველა იმ კლინიკისთვის, რომელიც მოხსენიებულია პროგრამის სიაში. კონტრაქტების უმეტესობა ეხება მედიცინის ინგლისუროვან პროგრამას და არა ქართულენოვანს (რეიმანის კლინიკა, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი, ნიუ ჰოსპიტალსი). ამიტომ, რეკომენდებულია გქონდეთ და წარმოადგინოთ ყველა იმ კლინიკასთან დადებული კონტრაქტები, საიდანაც აკადემიური პერსონალი ან მოწვეული პირები არიან ჩართული დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული იქნა ბაზრის კვლევა, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ გაზრდილი იყო მოთხოვნ ქართულენოვან პროგრამაზე. ამასთან, როდესაც ინგლისურენოვან პროგრამაზე მოდიოდნენ ქართველი სტუდენტები, რიგი ნაწილისთვის შემაფერხებელი კომპონენტი იყო ენა. ქართულენოვანი პროგრამის შემოტანით დაწესებულება ასეთ სტუდენტებს აძლევს საშუალებას სრულყოფილად სწავლობს კავკასიის უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საუბარია 20-30 სტუდენტზე, მთავარი მიზანი არის ის, რომ მეტი რესურსი ჩაიდოს ქართულენოვან სტუდენტებზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:10

დასრულების დრო: 16:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით, 2027 წლის 31 დეკემბრამდე აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კავკასიის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 2027 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

ეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, კომპეტენციების რუკის კურსის/მოდულის სილაბუსებთან შესაბამისობაში მოყვანა.
2. რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურის განახლება და ჩანაცვლება ახალი ან ქართულენოვანი გამოცემებით, ან “ჰენდაუთების” დამზადება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური სახით.
3. რეკომენდებულია ყველა სწავლის შედეგის და კომპეტენციის შეფასება სასწავლო კურსებში.
4. რეკომენდებულია ყველა სილაბუსის შეფასების მეთოდის რაოდენობის გადახედვა კურსის ხანგრძლივობისა და საკონტაქტო საათების მიხედვით.
5. საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ ყველა კლინიკასთან გაფორმებული ხელშეკრულება წარმოდგენილი უნდა იყოს დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვან პროგრამაზე.
6. რეკომენდებულია კლინიკური უნარების ლაბორატორიის გადაკეთება პრაქტიკისა და ტრენინგებისთვის. უნდა გაიზარდოს სივრცე შესაბამისი სიმულაციური ოთახებისთვის და უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ტექნიკური საშუალებები, მანეკენები და სიმულატორები სტუდენტთა გაზრდილი ოდენობისთვის.

ჩევები:

1. გაიზარდოს პარტნიორობა უცხოურ ინსტიტუტებთან, უსდ-მ კონტრაქტით დაიქირაოს მოწვეული მასწავლებლები (პროფესორები, ლექტორები), რომლებიც ელექტრონული სწავლების, ვებინარებისა თუ პირისპირ შეხვედრების მეშვეობით, დამატებითი ექსპერტიზით შეიტანენ წვლილს.
2. უნდა განისაზღვროს სტუდენტთა საქმიანობის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა, რომელიც საჭიროა სწავლის შედეგების მოცემული ნაკრების მისაღწევად და საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მათი კორექტირება, რათა გარანტირებული იყოს საჭირო სწავლის შედეგების მიღწევა.
3. უსდ-ს უნდა ჰქონდეს მკაფიო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთკავშირს სამედიცინო განათლებასა და სამედიცინო კვლევებს შორის. საჭიროა გეგმების დასახვა სამეცნიერო სტრატეგიის ფარგლებში.
4. სასურველია უნარების ლაბორატორია გამოყენებული იქნას ამოსავალ წერტილად პრაქტიკული სწავლების ხვედრითი წილის გაზრდაში, ამიტომ მიზანშეწონილია განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება.

5. სასურველია პროგრამაში სასწავლო კურსების გადახედვა და მათი ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგება;
6. მიზანშეწონილია პროგრამის ვერტიკალური ინტეგრაციის გაზრდა.
7. მიზანშეწონილია, დაცული იყოს პროგრამაში ასახული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამური რაოდენობა, რომელიც შეესაბამება სამედიცინო პროგრამების მოთხოვნებს, ანუ არანაკლებ 5500 საათს.
8. სასურველია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა და კორექტირება კურსის შესაბამისი შედეგების უკეთ მისაღწევად.
9. სასურველია, სიზუსტის მიზნით, სილაბუსებში წარმოდგენილი მონაცემების (აქტივობების დრო, გამოცდების, ლექციების, პრაქტიკების ხანგრძლივობა და და ა.შ.) შემოწმება და გასწორება.
10. მიზანშეწონილია ბიოქიმიისა და ფიზიოლოგიის სასწავლო კურსების პრაქტიკული კომპონენტისა და ლაბორატორიული სამუშაოების გაუმჯობესება.
11. სასურველია კლინიკური უნარების ლაბორატორიაში სპეციალისტების/ტუტორების დაქირავება, რომლებიც ხელს შეუწყობენ სტუდენტების სასწავლო პროცესს და დააკმაყოფილებენ მათ საჭიროებებს.
12. შემთხვევების ბანკის შექმნა PBL/CBL-სთვის კარგი ინვესტიცია იქნება სამომავლო მდგრადობისთვის, რადგან ის გაზრდის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი შემთხვევების მასშტაბს, მოცულობასა და ხარისხს.
13. მიზანშეწონილია უსდ-მ ინტენსიურად გამოიყენოს თანამედროვე სწავლების მეთოდები.
14. სასურველია აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადება სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში მოხდეს რეგულარულად (ყოველ 2 წელში ერთხელ) და ეს დასტურდებოდეს შესაბამისი სერტიფიკატებით. ეს სერტიფიკატები წარმოდგენილი იყოს პირად საქმეში. წარმოჩენილი იყოს ლექტორების გადამზადება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისად;
15. OSCE გაფართოებული საკონტროლო სიების შემუშავების კოორდინაციისთვის, რეკომენდებულია კომიტეტის ან სამუშაო ჯგუფის შექმნა.
16. სასურველია კვლევითი საქმიანობისა და შედეგების უწყვეტი და სისტემატური მონიტორინგი, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, ეროვნულ და საერთაშორისო ხილვადობას.
17. უნივერსიტეტი ელოდება სტუდენტების გაზრდილ ნაკადს და ინგლისურენოვან სამედიცინო პროგრამაზეც მაღალი მოთხოვნაა სტუდენტების მხრიდან, ამიტომ სასურველი იქნება, გაიზარდოს სიმულაციური სასწავლო ოთახების რაოდენობა, დაემატოს კლინიკური ბაზები და ყურადღება გამახვილდეს, საბაზისო ან კლინიკურ დისციპლინებში დამატებითი სამედიცინო პერსონალის ჩართვაზე.
18. მიღწეული დიდი პროგრესისა და აქტიური ენთუზიაზმის დამსახურებით, პროგრამის და მისი თვისებრივი შედეგების შედარება შესაძლებელია საერთაშორისო დონეზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მოწვეულმა წევრებმა დატოვეს სხდომა.

2.მეორე საკითხი : სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო, ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო და ,,საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 13 სექტემბრის No390
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში/ BA of Arts in History
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ხალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.113 უნივერსიტეტის I კორპუსი. აქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აქართველოს ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 13 სექტემბრის No396
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	აქართველოს ისტორიის მაგისტრი/ Master of Georgian History
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120

14	განხორციელების ადგილი	ხალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.113 უნივერსიტეტის I კორპუსი. აქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	აქართველოს ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	სტორიის დოქტორი/Doctor of History
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ხალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.113 უნივერსიტეტის I კორპუსი. აქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი გაიმართა 2022 წლის 3 და 4 ნოემბერს. კლასტერის ყველა პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომელიც ეხება ISCED კლასიფიკაციით განსაზღვრულ სასწავლო სფეროს 0222 (ისტორია და არქეოლოგია). თითოეული პროგრამა თანმიმდევრულია და შეესაბამება საჭირო სტანდარტებს. მიზნები თითოეულ პროგრამაში ლოგიკურად არის განსაზღვრული, ყოველი მომდევნო პროგრამა აფართოებს და განსაზღვრავს უფრო სიღრმისეულად მიზნებს წინა პროგრამაზე დაყრდნობით. ამრიგად, სამაგისტრო პროგრამა ავითარებს და ამდიდრებს საბაკალავრო პროგრამის მიზნებს, ხოლო სადოქტორო პროგრამას აქვს მიზნები, რომლებიც კონკრეტულად აფართოებს სამაგისტრო პროგრამისთვის განსაზღვრულ მიზნებს. სწავლის შედეგები ადეკვატურად არის განსაზღვრული და სტრუქტურირებული შემოთავაზებული მიზნების მისაღწევად და იზრდება განათლების ყოველ მომდევნო საფეხურზე. ისტორიის კლასტერი და მასში შემავალი თითოეული პროგრამა შეესაბამება კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს - დონეები 6 (BA), 7 (MA) და 8 (PhD).

მაშინ როცა მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ეხება ცოდნა, გაგებასა და პროფესიულ უნარს, როგორც ჩანს, ძალიან კარგად არის განსაზღვრული და შესრულებული, სოციალურ უნარებთან დაკავშირებული მიზნები და სწავლის შედეგები (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) არ იყო შთამბეჭდავი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აზრით. ისინი არ იღებდნენ მონაწილეობას სასწავლო გეგმის გარე აქტივობებში, არ იყვნენ ჩართულნი სტუდენტთა ასოციაციის სამუშაოებში, არ იცოდნენ, რომ შეიძლებოდა ისტორიის სტუდენტების „სამეცნიერო წრის“ მოწყობა იმ კვლევებისა და ისტორიის თემების შესახებ, რომლებიც არ შედის პროგრამის ყველა დონეზე. ეს კავშირშია შეთავაზებასთან, რომელიც ეხება სტუდენტთა უფრო ფართო გაცვლას და ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე თანატოლებთან ინტერაქციას.

ისტორიის პროგრამების კლასტერი ქმნის სამი პროგრამის ლოგიკურ, თანმიმდევრულ ერთობლიობას, რომელსაც მიჰყავს პოტენციური სტუდენტი საშუალო სკოლის დამთავრებიდან საქართველოს ისტორიის დოქტორის ხარისხამდე. საბაკალავრო პროგრამა გთავაზობთ მსოფლიო ისტორიის ზოგად ცოდნას მეთოდოლოგიის, ისტორიოგრაფიისა და ისტორიის ციფრული მიდგომების საფუძვლების საჭირო ცოდნით. საბაკალავრო პროგრამა გთავაზობთ საქართველოს ისტორიის სიღრმისეულ შესწავლას კვლევის ძლიერი ელემენტებით. სადოქტორო პროგრამა, რომელიც ხურავს კლასტერს, მიზნად ისახავს შესთავაზოს უახლესი ცოდნა მეთოდოლოგიასა და ისტორიოგრაფიაში, ასევე საჭირო ცოდნას და მხარდაჭერას სრულ ისტორიულ კვლევაში, რომელსაც მივყავართ კვლევით პროექტამდე საქართველოს ისტორიაში.

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო, საგანმანათ ლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სადოქტორო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. ბაკალავრიატი - აუცილებელია ენის სწავლების გაძლიერება, სასურველია ინგლისურ ენაში, რათა სტუდენტებმა შეძლონ მინიმუმ B2 დონის მიღწევა (შესაძლოა C1) ბაკალავრიატის პროგრამის ბოლო წლებში და შეძლონ მონაწილეობის მიღება სხვადასხვა საერთაშორისო ისტორიულ ღონისძიებებში (საზაფხულო სკოლები, ტრენინგები, ლექციები, ვებინარები და სხვა). სწავლება შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ენის სწავლებით, ასევე სპეციფიური კურსებით, რომელიც მოიცავს ორიგინალი ისტორიული დოკუმენტების ინგლისურიდან ქართულად თარგმნას.
2. კლასტერი - სტუდენტები უნდა წაახალისონ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სტუდენტზე ორიენტირებულ ღონისძიებებში, როგორიცაა კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, საზაფხულო სკოლები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ფაქტობრივად, ასეთი ელემენტები შეიძლება გახდეს სავალდებულო - მინიმუმ ერთი მონაწილეობა პროგრამის განმავლობაში.
3. კლასტერი - გასათვალისწინებელია მესამე ჯგუფის სწავლის შედეგების გამდიდრება და გაფართოება: პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, ანუ სოციალური უნარები. რეკომენდირებულია, რომ სტუდენტებმა მიმართონ სხვა სტუდენტურ ჯგუფებს, სოციალურ ჯგუფებს, უცხოურ ჯგუფებს, რათა განავითარონ ინტერაქციული უნარები, პრეზენტაციის გზები - ასევე უცხოენოვანი ჯგუფების უკეთ გაცნობის გზით.

4. ბაკალავრიატი-მაგისტრატურა - სწავლის შედეგების მესამე ჯგუფის გამდიდრება, სადაც აქცენტი გაკეთდება ინტერაქციის განვითარებაზე და საერთაშორისო დონეზე გასვლაზე უცხოური უნივერსიტეტებიდან მათ თანატოლებთან, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, საზაფხულო სკოლების მეშვეობით.
5. ბაკალავრიატი - ორი სილაბუსი - შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნების ისტორია და ევროპისა და ამერიკის ქვეყნების თანამედროვე ისტორია (ან ერთი მათგანი მაინც) - უნდა გადამუშავდეს მათში ქრონოლოგიური ხარვეზის შესავსებად და მეორე სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურას უნდა დაემატოს ახლახან გამოცემული სახელმძღვანელო.
6. ბაკალავრიატი - საბაკალავრო პროგრამაში წინაპირობების ფორმულირება უნდა გასწორდეს, რადგან ის გარკვეულ ადგილებში ცოტა გაუგებარი და რთულია.
7. მაგისტრატურა - პუნქტები 9 და 10 ამოღებულ უნდა იქნეს წინაპირობებიდან. ინგლისურში ენის ცოდნის დონე სწორად უნდა იყოს მითითებული.
8. სამაგისტრო-სადოქტორო - საჭიროა სერიოზული ნაბიჯების გადადგმა მონაცემთა დამატებით ბაზებზე წვდომის მოპოვებისთვის. დამატებითი ხარჯების არსებობის შემთხვევაშიც კი, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ქვემოთ ჩამოთვლილ ბაზათაგან თუნდაც ერთ მათგანზე წვდომის მოპოვება. ასეთი წვდომის მოპოვება შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტებთან და/ან შესაბამის სამინისტროებთან თანამშრომლობით. მონაცემთა ეს ბაზებია: Proquest Central, EBSCO, H-Net, Oxford Journals, BRILL journals, De Gruyter Online journals.
9. კლასტერი - უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, პარტნიორობის დამყარება საერთაშორისო პარტნიორებთან, ინვესტირება სტუდენტთა 9 მობილობაში, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.
10. ბაკალავრიატი - დაწესებულებამ გახადოს სტუდენტთა მონაწილეობა სტუდენტურ ღონისძიებაში სავალდებულო ეროვნულ დონეზე.
11. მაგისტრატურა - დაწესებულებამ გახადოს სტუდენტთა მონაწილეობა სტუდენტურ ღონისძიებაში სავალდებულო საერთაშორის დონეზე. ღონისძიება შეიძლება იყოს ვირტუალური/ონლაინ, მაგრამ უნდა გააძლიეროს უცხო ენის გამოყენება.
12. ბაკალავრიატი-მაგისტრატურა - რეკომენდებულია, გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები ისტორიის მიმართულებით ახალგაზრდა, კვლევით და სასწავლო პერსონალთან თანამშრომლობისა და მათი შესაძლო მუდმივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ზოგიერთი მათგანი შეიძლება დაქირავებულ იქნას ახლად განხორციელებული სადოქტორო პროგრამიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება მიმართულია პროგრამების განვითარებისკენ. ეტაპობრივად ხდება საუნივერსიტეტო გარემოს, სწავლების პროცესისა და აკადემიურ კონკურსების განვითარება და დახვეწა. მიუხედავად ექსპერტთა რეკომენდაციისა, თავად წარმოდგენილ პროგრამებში უკვე ჩანს დაწესებულების ტენდენცია, ვინაიდან როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამაში ჩანს მოწვეული ახლაგაზრდა პერსონალი და დოქტორანტთა სიმრავლე.

რაც შეეხება სტუდენტთა კომუნიკაციას, დაწესებულებისთვის საკამოდ მნიშვნელოვანია ონლაინ შეხვედრები და სამეცნიერო კომპეტენციები, რაც შესაძლებელია იყოს მიღწევადი როგორც კონფერენციებით, ასევე სხვა სამეცნიერო აქტივობებით. დაწესებულება ასევე აქტიურად განიხილავს ზამთრისა და ზაფხულის სკოლების ორგანიზებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ დააზუსტა ხომ არ მიაჩნიათ ექსპერტებს, პროგრამის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, ითხოვენ თუ არა სხვა სასწავლო კურსების

გადახედვას შინაარსისა და სასწავლო ლიტერატურის თვალსაზრისით, გამომდინარე იქიდან რომ სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურაზე ახალი სახელმძღვანელოები უკვე ხელმისაწვდომია. გარდა ამისა მოუწოდა ექსპერტებს მე-5 რეკომენდაციის დაზუსტებისკენ.
ამასთან, თვითშეფასებაში მითითებულია საბაკალავრო ნაშრომის, თუმცა არსად არ არის წარმოდგენილი არც საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი და არც ნაშრომები. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა არის თუ არა ამ წლების განმავლობაში დაცული საბაკალავრო ნაშრომები და თუ არ არის დაცული, რატომ ამჯობინებენ სტუდენტები გაიარონ არჩევითი სასწავლო კურსები.
ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ გაუჩნდათ ექსპერტებს მოსაზრება იმის შესახებ, რომ სავალდებულო უნდა იყოს სავალდებულო სტაჟირება სოციალურ ორგანიზაციაში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან არასამთავობო ორგანიზაციაში.
ამასთან, სადოქტორო პროგრამის მიხედვით დოქტორანტს მოეთხოვება სამი ნაშრომის საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაცია, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად მოსწრებადია აღნიშნული.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე შაკიაშვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამაზე არის სასწავლო კურსი საბაკალავრო წერა, სადაც დასკვნით გამოცდაზე სტუდენტს მოეთხოვება ანალიტიკური რეფერატის წარმოდგენა. თუმცა რამდენად სწორი და გამჭირვალეა ქულების გადანაწილება, როდესაც 40 ქულა ცხრა და რვა ქულამდე არის ჩაშლილი. რა შემთხვევაში შეიძლება დაეწეროს სტუდენტს 8 ან 9 ქულა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგნებად. კურსების უმეტესობა ძალიან კარგად და ზუსტად არის განსაზღვრული და ორგანიზებული შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მიზნების მიხედვით. ამავდროულად, არის კურსი, რომელიც საჭიროებს ან კურსის მიზნების ან შინაარსის დაზუსტება. შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნების ისტორიის კურსის მიზნები მოცემულია შემდეგნაირად: „საგანმანათლებლო კურსის მიზანია სტუდენტს მიაწოდოს ფართო ცოდნა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის შესახებ ყველა საფეხურზე (V-XV სს.)...“ ამავდროულად, მე-13 კვირაში, ლექციაში, რომელიც ეძღვნება შუა საუკუნეების საფრანგეთს, ნახსენებია შემდეგი თემები: „...საფრანგეთის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა XVI საუკუნის პირველ ნახევარში. საფრანგეთის აბსოლუტური მონარქია, რეფორმაციული მოძრაობა საფრანგეთში, რელიგიური ომები, სამოქალაქო ომები საფრანგეთში, ახალი დინასტიის მმართველობა, გენერალური შტაბები (რაც არასწორად არის ნათარგმნი ქართულიდან) 1614 წელს, კარდინალი რიშელიე, ჰუგენოტების რესპუბლიკის დასასრული, ფრანგული კულტურა.” ეს აშკარად სცილდება კურსის მიზნებს. ამავდროულად, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი (უნდა იყოს თანამედროვე) ისტორიის კურსი მოიცავს დროის მონაკვეთს მხოლოდ მე-17 საუკუნის შუა პერიოდიდან. ამრიგად, ამ ორ კურსს შორის, რომლებიც ქრონოლოგიურად მოჰყვება ერთმანეთს, საუკუნე-ნახევარია გამოტოვებული. შესაბამისად, ორივე სილაბუსი (ერთი მათგანი მაინც) გადამუშავებას საჭიროებს ამ ხარვეზის შესავსებად. ასევე, ხათუნა დიასამიძის ავტორობით გამოცემული ახალი სახელმძღვანელო "ევროპისა და ამერიკის ქვეყნების უახლესი ისტორია" (ბათუმი, 2021 წ.) უნდა დაემატოს ზემოაღნიშნულ კურსში სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსებთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციები სავსებით მისაღებია და დაწესებულებამ უკვე გაატარა შესაბამისი ცვლილებები, კერძოდ დაემატა ახალი სახელმძღვანელო. ამასთან, დაწესებულება მუდმივად ცდილობს სასწავლო კურსების განახლებას ახალი ლიტერატურით და მათ დახვეწას.
რაც შეეხება ნაშრომების გამოქვეყნების საკითხს, დოქტორანტებს გამოქვეყნებასთან პრობლემა არ უნდა ჰქონდეთ, ვინაიდან ისტორიის მიმართულებით საერთაშორისო ჟურნალი უკვე ხუთი წელია ხელმისაწვდომია და დაწესებულებაც ამ კუთხით პროგრამის დახვეწისთვის მუდმივად

მუშაობს. სამი ნაშრომიდან ერთის გამოქვეყნება სავალდებულოა საერთაშორისო ჟურნალში, დანარჩენი ორი კი შესაძლებელია როგორც კრებულში ასევე სხვა სახით. პროგრამის არსებობის განმავლობაში საკითხთან დაკავშირებთ პრობლემები არ დაფიქსირებულა.
რაც შეეხება სტაჟირებას, აღნიშნული მიესადაგება როგორც პროგრამის მიზნებს ასევე სტუდენტების აქტიურობას, დაწესებულება მუდმივად ცდილობს რაც შეიძლება მეტი აქტივობა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბჭოს წევრის მოსწრება მისაღებია, თუმცა დაწესებულება მაქსიმალურად არის ორიენტირებული კვლევის ნაწილის შეფასებისკენ, კერძოდ არგუმენტირებულობა, დამოწმება სამეცნიერო აპარატის გამოყენება.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 18:15
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ისტორიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.
საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- აუცილებელია ენის სწავლების გაძლიერება, სასურველია ინგლისურ ენაში, რათა სტუდენტებმა შეძლონ მინიმუმ B2 დონის მიღწევა (შესაძლოა C1) ბაკალავრიატის პროგრამის ბოლო წლებში და შეძლონ მონაწილეობის მიღება სხვადასხვა საერთაშორისო ისტორიულ ღონისძიებებში (საზაფხულო სკოლები, ტრენინგები, ლექციები, ვებინარები და სხვა). სწავლება შეიძლება განხორციელდეს დამატებითი ენის სწავლებით, ასევე სპეციფიური კურსებით, რომელიც მოიცავს ორიგინალი ისტორიული დოკუმენტების ინგლისურიდან ქართულად თარგმნას;
- სტუდენტები უნდა წაახალისონ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სტუდენტზე ორიენტირებულ ღონისძიებებში, როგორიცაა კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, საზაფხულო სკოლები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ფაქტობრივად, ასეთი ელემენტები შეიძლება გახდეს სავალდებულო - მინიმუმ ერთი მონაწილეობა პროგრამის განმავლობაში;
- გასათვალისწინებელია მესამე ჯგუფის სწავლის შედეგების გამდიდრება და გაფართოება: პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, ანუ სოციალური უნარები. რეკომენდირებულია,

რომ სტუდენტებმა მიმართონ სხვა სტუდენტურ ჯგუფებს, სოციალურ ჯგუფებს, უცხოურ ჯგუფებს, რათა განავითარონ ინტერაქციული უნარები, პრეზენტაციის გზები - ასევე უცხოენოვანი ჯგუფების უკეთ გაცნობის გზით;

- სწავლის შედეგების მესამე ჯგუფის გამდიდრება, სადაც აქცენტი გაკეთდება ინტერაქციის განვითარებაზე და საერთაშორისო დონეზე გასვლაზე უცხოური უნივერსიტეტებიდან მათ თანატოლებთან, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, საზაფხულო სკოლების მეშვეობით;
- ორი სილაბუსი - შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნების ისტორია და ევროპისა და ამერიკის ქვეყნების თანამედროვე ისტორია (ან ერთი მათგანი მაინც) - უნდა გადამუშავდეს მათში ქრონოლოგიური ხარვეზის შესავსებად და მეორე სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურას უნდა დაემატოს ახლახან გამოცემული სახელმძღვანელო;
- რეკომენდებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების შინაარსი და განახლდეს შედარებით ახალი სასწავლო ლიტერატურით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგებზე გასვლას;
- საბაკალავრო პროგრამაში წინაპირობების ფორმულირება უნდა გასწორდეს, რადგან ის გარკვეულ ადგილებში ცოტა გაუგებარი და რთულია;
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, პარტნიორობის დამყარება საერთაშორისო პარტნიორებთან, ინვესტირება სტუდენტთა მობილობაში, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში და ა.შ;
- რეკომენდებულია, გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები ისტორიის მიმართულებით ახალგაზრდა, კვლევით და სასწავლო პერსონალთან თანამშრომლობისა და მათი შესაძლო მუდმივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ზოგიერთი მათგანი შეიძლება დაქირავებულ იქნას ახლად განხორციელებული სადოქტორო პროგრამიდან.

ჩევები:

- დაწესებულებამ განიხილოს სავალდებულო სტაჟირების (ორკვირიანი, ერთთვიანი) დამატება სოციალურ ორგანიზაციაში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არასამთავრობო ორგანიზაციაში ან მსგავსში;
- სასურველია დაწესებულებამ გახადოს სტუდენტთა მონაწილეობა სტუდენტურ ღონისძიებაში სავალდებულო ეროვნულ დონეზე;
- გარე შეფასება პროგრამის შემუშავების მნიშვნელოვანი კომპონენტია. იმისათვის, რომ კლასტერში არსებული პროგრამები ჰოლისტურად შეფასდეს, სასურველია გარე შეფასების ანგარიში შეიცავდეს უფრო კონკრეტულ ინფორმაციას პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ეს ხელს შეუწყობს დაწესებულებას პროგრამების შემუშავებაში;
- პროგრამისა და პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ინდივიდუალურად განიხილოს პროგრამებთან დაკავშირებით კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენების აუცილებლობა. თუ კითხვარი არ იძლევა პროგრამის გაუმჯობესებისთვის საჭირო თვისებრივი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას, შეიძლება განიხილებოდეს სხვა ინსტრუმენტის გამოყენების ალტერნატივა კითხვართან ერთად ან მის ნაცვლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის “საქართველოს ისტორიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- სტუდენტები უნდა წაახალისონ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სტუდენტზე ორიენტირებულ ღონისძიებებში, როგორიცაა კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, საზაფხულო სკოლები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ფაქტობრივად, ასეთი ელემენტები შეიძლება გახდეს სავალდებულო - მინიმუმ ერთი მონაწილეობა პროგრამის განმავლობაში;
- გასათვალისწინებელია მესამე ჯგუფის სწავლის შედეგების გამდიდრება და გაფართოება: პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, ანუ სოციალური უნარები. რეკომენდირებულია, რომ სტუდენტებმა მიმართონ სხვა სტუდენტურ ჯგუფებს, სოციალურ ჯგუფებს, უცხოურ ჯგუფებს, რათა განავითარონ ინტერაქციული უნარები, პრეზენტაციის გზები - ასევე უცხოენოვანი ჯგუფების უკეთ გაცნობის გზით;
- სწავლის შედეგების მესამე ჯგუფის გამდიდრება, სადაც აქცენტი გაკეთდება ინტერაქციის განვითარებაზე და საერთაშორისო დონეზე გასვლაზე უცხოური უნივერსიტეტებიდან მათ თანატოლებთან, კონფერენციების, სამუშაო შეხვედრების, საზაფხულო სკოლების მეშვეობით;
- პუნქტები 9 და 10 ამოღებულ უნდა იქნეს წინაპირობებიდან. ინგლისურში ენის ცოდნის დონე სწორად უნდა იყოს მითითებული;
- რეკომენდირებულია დაკონკრეტდეს ინგლისური ენის სერტიფიკატის გამცემი ორგანიზაციები ;
- საჭიროა სერიოზული ნაბიჯების გადადგმა მონაცემთა დამატებით ბაზებზე წვდომის მოპოვებისთვის. დამატებითი ხარჯების არსებობის შემთხვევაშიც კი, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ქვემოთ ჩამოთვლილ ბაზათაგან თუნდაც ერთ მათგანზე წვდომის მოპოვება. ასეთი წვდომის მოპოვება შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტებთან და/ან შესაბამის სამინისტროებთან თანამშრომლობით. მონაცემთა ეს ბაზებია: Proquest Central, EBSCO, H-Net, Oxford Journals, BRILL journals, De Gruyter Online journals;
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, პარტნიორობის დამყარება საერთაშორისო პარტნიორებთან, ინვესტირება სტუდენტთა მობილობაში, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში და ა.შ;

- რეკომენდებულია, გადაიდგას გარკვეული ნაბიჯები ისტორიის მიმართულებით ახალგაზრდა, კვლევით და სასწავლო პერსონალთან თანამშრომლობისა და მათი შესაძლო მუდმივი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ზოგიერთი მათგანი შეიძლება დაქირავებულ იქნას ახლად განხორციელებული სადოქტორო პროგრამიდან;
- რეკომენდირებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი და დაწესებულება აქტიურად ზრუნავდეს პროფესიულ განვითარებაზე (სამეცნიერო პუბლიკაციები, საგრანტო კონკურსები).

ჩევები:

- დაწესებულებამ განიხილოს სავალდებულო სტაჟირების (ორკვირიანი, ერთთვიანი) დამატება სოციალურ ორგანიზაციაში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არასამთავრობო ორგანიზაციაში ან მსგავსში;
- სასურველია დაწესებულებამ გახადოს სტუდენტთა მონაწილეობა სტუდენტურ ღონისძიებაში სავალდებულო საერთაშორის დონეზე. ღონისძიება შეიძლება იყოს ვირტუალური/ონლაინ, მაგრამ უნდა გააძლიეროს უცხო ენის გამოყენება;
- გარე შეფასება პროგრამის შემუშავების მნიშვნელოვანი კომპონენტია. იმისათვის, რომ კლასტერში არსებული პროგრამები ჰოლისტურად შეფასდეს, სასურველია გარე შეფასების ანგარიში შეიცავდეს უფრო კონკრეტულ ინფორმაციას პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ეს ხელს შეუწყობს დაწესებულებას პროგრამების შემუშავებაში;
- პროგრამისა და პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ინდივიდუალურად განიხილოს პროგრამებთან დაკავშირებით კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენების აუცილებლობა. თუ კითხვარი არ იძლევა პროგრამის გაუმჯობესებისთვის საჭირო თვისებრივი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას, შეიძლება განიხილებოდეს სხვა ინსტრუმენტის გამოყენების ალტერნატივა კითხვართან ერთად ან მის ნაცვლად.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,საქართველოს ისტორიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, კერძოდ 4.3. კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია და შეფასება, ნაცვლად "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განსაზღვარა როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", რის საფუძველზეც შეიცვალა მე-4 სტანდარის შეფასება და ნაცვლად "შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" განსაზღვარა როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან".

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ

ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის “საქართველოს ისტორიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- სტუდენტები უნდა წაახალისონ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სტუდენტზე ორიენტირებულ ღონისძიებებში, როგორიცაა კონფერენციები, სამუშაო შეხვედრები, საზაფხულო სკოლები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. ფაქტობრივად, ასეთი ელემენტები შეიძლება გახდეს სავალდებულო - მინიმუმ ერთი მონაწილეობა პროგრამის განმავლობაში;
- გასათვალისწინებელია მესამე ჯგუფის სწავლის შედეგების გამდიდრება და გაფართოება: პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, ანუ სოციალური უნარები. რეკომენდირებულია, რომ სტუდენტებმა მიმართონ სხვა სტუდენტურ ჯგუფებს, სოციალურ ჯგუფებს, უცხოურ ჯგუფებს, რათა განავითარონ ინტერაქციული უნარები, პრეზენტაციის გზები - ასევე უცხოენოვანი ჯგუფების უკეთ გაცნობის გზით;
- პროგრამის დაშვების წინაპირობებში დაემატოს სადოქტორო კვლევის გეგმის შესახებ ინფორმაცია;
- საჭიროა სერიოზული ნაბიჯების გადადგმა მონაცემთა დამატებით ბაზებზე წვდომის მოპოვებისთვის. დამატებითი ხარჯების არსებობის შემთხვევაშიც კი, უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ქვემოთ ჩამოთვლილ ბაზათაგან თუნდაც ერთ მათგანზე წვდომის მოპოვება. ასეთი წვდომის მოპოვება შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტებთან და/ან შესაბამის სამინისტროებთან თანამშრომლობით. მონაცემთა ეს ბაზებია: Proquest Central, EBSCO, H-Net, Oxford Journals, BRILL journals, De Gruyter Online journals;
- კლასტერი - უსდ-მ უნდა უზრუნველყოს ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა, პარტნიორობის დამყარება საერთაშორისო პარტნიორებთან, ინვესტირება სტუდენტთა მობილობაში, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო მობილობის აქტივობებში, გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო პროექტებში და ა.შ.

ჩევები:

- დაწესებულებამ განიხილოს სავალდებულო სტაჟირების (ორკვირიანი, ერთთვიანი) დამატება სოციალურ ორგანიზაციაში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში, არასამთავრობო ორგანიზაციაში ან მსგავსში;
- იმისათვის, რომ კლასტერში არსებული პროგრამები ჰოლისტურად შეფასდეს, სასურველია გარე შეფასების ანგარიში შეიცავდეს უფრო კონკრეტულ ინფორმაციას პროგრამის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ეს ხელს შეუწყობს დაწესებულებას პროგრამების შემუშავებაში;
- პროგრამისა და პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სასურველია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ინდივიდუალურად განიხილოს პროგრამებთან დაკავშირებით კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენების აუცილებლობა. თუ კითხვარი

არ იძლევა პროგრამის გაუმჯობესებისთვის საჭირო თვისებრივი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას, შეიძლება განიხილებოდეს სხვა ინსტრუმენტის გამოყენების ალტერნატივა კითხვართან ერთად ან მის ნაცვლად.

3.მესამე საკითხი : სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება №392, 2012 წლის 13 სექტემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ენის დაუფლება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ხალციხის მუნიციპალიტეტი, ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ.113 უნივერსიტეტის I კორპუსი. აქართველო 0800
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 1994 წლიდან. იგი მოიცავს 240 კრედიტს, რომლის ათვისების შემდეგ, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის" აკადემიური ხარისხი. პროგრამაში გათვალისწინებულია სავალდებულო და არჩევითი კომპონენტები, კერძოდ, ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 123 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 22 კრედიტი (მათ შორის: საბაკალავრო ნაშრომი/ან ორი არჩევითი კურსი-10 კრედიტი); თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 35 კრედიტი; 60 კრედიტი, რომლის ათვისებაც სტუდენტს შეუძლია შემდეგი გზით: 1. უნივერსიტეტში მოქმედი ნებისმიერი აკრედიტებული დამატებითი პროგრამით (60 კრედიტი); 2. უნივერსიტეტის ფარგლებში არსებული ძირითადი და დამატებითი აკრედიტებული პროგრამებიდან, თავისუფალი და არჩევითი კურსებით - 60 კრედიტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 15 აკადემიური პერსონალი.

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, 2022 წლის 7-8 ნოემბერს შედგა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

წინასწარ დაგეგმილი და პროგრამის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექპერტებმა ჩაატარეს ინტერვიუები პროგრამაში ჩართულ პირებთან და დაათვალიერეს პროგრამისათვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა, კოლეგიალურ და სამუშაო გარემოში შეხვედროდა ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს, დამსაქმებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს. ექპერტებმა პროგრამის ჯგუფისგან გამოითხოვეს კონკრეტული დამატებითი დოკუმენტაცია და ვიზიტის ბოლოს შეაჯერეს ინტერვიუს შედეგები. დასასრულს, პროგრამის განმახორციელებლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების წანამძღვარ ჩანაწერში ჩასწორდეს ფორმულირება - ,,ინგლისურენოვანი სპეციალისტი" პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციით (ინგლისურის ფილოლოგი); ამავე ჩანაწერში, პროგრამასთან და დარგის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს სამიზნე უნარის აღწერილობა, რამდენადაც პროგრამა (დეტალური სფეროს შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე) ვერ განავითარებს ,,სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ" გამოწვევებთან გამკლავების უნარს;
2. რეკომენდებულია ენის ფლობის მისაღწევი დონის პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრა (C1) და მისი ასახვა პროგრამის მიზნებსა და შედეგებში;
3. მიზნების მიღწევადობის და რეალისტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები გამომდინარეობდეს მხოლოდ ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებში განსაზღვრული მიზნებიდან და შედეგებიდან;
4. რეკომენდებულია მე-6 და მე-7 შედეგების რეფორმულირება და მათი მიღწევადობისა და რეალისტურობის უზრუნველყოფა (დაკორექტირდეს თარგმანთან დაკავშირებული 8 8 კომპეტენციების ჩანაწერი. მე-6 და მე-7 შედეგის უზრუნველყოფა მოხდეს სავალდებულო, და არა არჩევითი კურსების საშუალებით);
5. მიზნების და შედეგების შესაბამისობაში მოყვანის კვალდაკვალ, ჩასწორდეს სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა.
6. გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სწავლის შედეგების რეფორმულირების კვალდაკვალ.
7. პროგრამის აღწერილობასა და თვითშეფასების ანგარიშში დაზუსტდეს ტერმინები და სწორად განისაზღვროს პროგრამისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდების ჩამონათვალი.
8. რეკომენდებულია, პროგრამის ცალკეული საგნების („ინგლისური ენის ლექსიკოლოგია", „ინგლისური ენის სტილისტიკა", „ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა", „ინგლისური ენის ფონეტიკა", ,,დარგობრივი ტექსტების თარგმნის თეორია და პრაქტიკა,'' "რეფერირებარეცენზირება", ,,ინგლისური ენის ისტორია'') შემთხვევაში განისაზღვროს დაშვების წინაპირობები და გამყარდეს გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცების იერარქია;
9. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში შეთავაზებული არადარგობრივი კურსები („კარიერული მართვა". „მულტიკულტურული განათლება", „კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა"). შეთავაზებული იქნას როგორც თავისუფალი კომპონენტი.
10. რეკომენდებულია, პროგრამა მოიცავდეს ფილოლოგიის დარგისთვის მნიშვნელოვან თეორიული კურსებს (ლექსიკოგრაფიისა და ლინგვისტიკის კურსები), და პროფესიულ უნარებზე ორიენტირებულ კურსებს.
11. პროგრამის სავალდებულო სილაბუსებში („ინგლისური ენის ლექსიკოლოგია", ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1, 2, 3, 4) უნდა გადაიხედოს და ჩასწორდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.
12. მოხდეს ,,ინგლისური ლიტერატურის ისტორიის" ოთხივე ნაწილის შინაარსის შესაბამოსობაში მოყვანა კურსის დასახელებასთან, მიზნებსა და შედეგებთან (ამოღებული იქნას ამერიკელი და ფრანგი ავტორები, შესასწავლი ავტორები შეესაბამებოდეს შესასწავლ ეპოქას).
13. პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, განხორციელდეს პროგრამაზე დაშვების წინაპიროებების პროგრამის შინაარსთან, სტრუქტურასა და შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანა.
14. რეკომენდებულია, პროგრამა ითვალისწინებდეს დივერსიფიცირებული პროფესიული პრაქტიკის შესაძლებლობას;

15. შესაბამის მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.
16. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გახადოს ქმედითი არსებული მექანიზმები სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
17. იმ შემთხვევაში, თუ საგნები ,,კარიერული მართვა" და ,,კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა" კვლავ იქნება შეთავაზებული, რეკომენდებულია მათთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ლექტორების მოძიება.
18. რეკომენდებულია, ხარისხის სამსახურის ჩართულობა გაძლიერდეს პროგრამის მიზნების და შედეგების ურთიერთმიმართების და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად;
19. რეკომენდირებულია, პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) წერილობით ეცნობოს აკადემიურ პერსონალს ინდივიდუალურ რეჟიმში და ამ პროცესს გააჩნდეს ფორმალიზებული სახე. აღნიშნული დადებითად აისახება პერსონალის მოტივაციაზე და ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას
20. რეკომენდებულია, მოწვეული ექსპერტის მიერ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა უშუალოდ პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის წარდგენამდე, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.
21. რეკომენდებულია, ხარისხის გარე მექანიზმების უზრუნველყოფისას, სათანადო ყურადღება დაეთმოს პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულებას.
22. რეკომენდებულია, საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს ღიად განთავსებული ვებ-გვერდზე, რათა არ მოხდეს გარეშე პირების მიერ კითხვარების შევსება. ალტერნატიულად, შესაძლებელია კითხვარი დაეგზავნოს სამიზნე ჯგუფს ელექტორნული ფოსტის და/ან სწავლების ელექტრონულ სისტემაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ეს რეკომენდაცია პროგრამაში გათვალისწინებულია, «დ» მიზნის რეალისტურობა და მიღწევადობა ეყრდნობა სხვადასხვა სავალდებულო სასწავლო კურსს, კერძოდ, კურსის ფარგლებში გათვალისწინებულ მეთოდებსა და აქტივობებს (თავის მხრივ შემუშავებულს ერაზმუს+ პროექტებში), როგორებიცაა *პროექტებზე მუშაობა, თემზე დაფუძნებული სწავლება (CBL), ცოდნასა და ღირებულებებზე დაფუძნებული სწავლება (VaKE), დილემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა.*

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, მე-6 შედეგით გათვალისწინებულ ინგლისურენოვანი ტექსტის რეფერირება-რეცენზირებას, შედეგის მისაღწევად სტუდენტისთვის შეთავაზებულია საბაკალავრო ნაშრომი ან ინგლისურენოვანი ტექსტის რეფერირება-რეცენზირება, რომლებიც თანაბრად უვითარებს შესაბამის უნარებს; დაწესებულება გაითვალისწინებს ექსპერტთა მოსაზრებას და „თარგმნის თეორიასა და პრაქტიკას" შედეგში ჩავასწორებთ, როგორც «დარგობრივი ტექსტების თარგმნის თეორიასა და პრაქტიკას». მე-7 შედეგის - „აქვს მაღალი სამოქალაქო ცნობიერება", მიღწევადობა იზომება სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული პროექტების, ესეების, დისკუსიების შედეგად.

მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსს „ინგლისური ენის ლექსიკოლოგია", რომელშიც შედის ლექსიკოგრაფიის საკითხები, შევუცვლით სახელწოდებას -ინგლისური ენის ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფია, შესაბამისად სილაბუსში გავზრდით ლექსიკოგრაფიის საკითხებს. რაც შეეხება ლინგვისტურ სასწავლო კურსებს, პროგრამაში გათვალისწინებულია ექვსი სასწავლო კურსი. მათ შორის:

ენათმეცნიერების შესავალი, ინგლისური ენის ფონეტიკა, ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა, ინგლისური ენის სტილისტიკა, შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში. რაც შეეხება ისეთ პროფესიულ უნარებზე ორიენტირებულ კურსებს, როგორიცაა დარგობრივი ინგლისური ენა - ინგლისური ენა მედიცინის, სამართლის, სამშენებლო მიმართულებით, მიგვაჩნია, რომ შეუძლებელია ყველა დარგის მიმართულებით კურსის შექმნა/შეთავაზება. უნივერსიტეტში მომზადებულია დარგობრივი ინგლისურის კურსები, რომელთაც ასწავლიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები სხვადასხვა სპეციალობაზე. მაგ.: დარგობრივი ინგლისური იურისტებისთვის, ისწავლება სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, რომელსაც ასწავლის იურისტი, დარგობრივი ინგლისური ვეტერინარებისთვის, ასწავლის ვეტერინარი და სხვ. შესაბამისად, დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტს შეეთავაზება შესაბამისი დარგობრივი კურსი. ასევე უნივერსიტეტი მსგავსი ტიპის კურსებს სტუდენტებს სთავაზობს უწყვეტი განათლების ცენტრის ფარგლებში.

მნიშვნელოვანია ასევე პრაქტიკის საკითხი, კერძოდ ამ ეტაპზე სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციაში. ძირითადი კონტიგენტი პროგრამაზე არის სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან (90-100%) მათთვის არაკომფორტულია დედაქალაქში პრაქტიკაზე წასვლა, მათ შორის ეკონომიკური თვალსაზრისითაც. ამასთან, შესაძლოა მომზადდეს პრაქტიკის ანგარიში უნივერსიტეტის ფარგლებში გასავლელად.

მე-16 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის თითოეული რგოლი აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, თუმცა სტუდენტებში სურვილის გაღვივების მიზნით, უფრო მეტად გააქტიურდება სარეკლამო კამპანია, შეხვედრები წარმატებულ სტუდენტებთან, ვინც მონაწილეობა მიიღო გაცვლით პროგრამებში.

რაც შეეხება მე-17 რეკომენდაციას, „კარიერული მართვა" იკითხება ინგლისურ ენაზე. ეს სასწავლო კურსი შემუშავებულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ტემპუსის (CASEDE- 2012-2015) ფარგლებში. სასწავლო კურსის განმახორციელებლები თავად იყვნენ პროექტის მონაწილენი, ასევე მონაწილეობდნენ სტუდენტის და მასწავლებლის სახელმძღვანელოების და სილაბუსის შექმნაში. ამ სასწავლო კურსს გავლილი აქვს აკრედიტაცია ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე და 2015 წლიდან აღნიშნულ სასწავლო კურსს კითხულობს სილაბუსის განმახორციელებელი ავტორი. დაწესებულება გაითვალისწინებს რეკომენდაციას, სილაბუსის ავტორი დარჩება (საავტორო უფლებებს დავიცავთ), ხოლო განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი იქნება, რომელიც ისედაც ჩართულია ამ კურსის სასემინარო ნაწილში. რაც შეეხება სასწავლო კურსს „კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა", მისი ავტორი არის ფილოლოგიის დოქტორი, რომელსაც აქვს ამ სასწავლო კურსის განხორციელების ხუთწლიანი გამოცდილება. ვფიქრობთ, ის არის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე.

რაც შეეხება მე-18 რეკომენდაციას, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მომზადების პროცესში (რომელსაც ორჯერ გაუხანგრძლივდა აკრედიტაციის ვადა) უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს პერიოდულად ჰქონდათ შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით და ეცნობებოდა პროგრამის პერსონალს. აკადემიური/მოწვეული პერსონალის გარკვეული ნაწილი გამოთქვამდა საკუთარ მოსაზრებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია ასევე მე-19 რეკომენდაცია, კერძოდ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის საშუალებით სტუდენტების მიერ კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების ანალიზი და პედაგოგის უკუკავშირის ფორმა ეგზავნება ინდივიდუალურად რეჟიმში თითოეულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს; პერსონალისგან უკუკავშირის გამოგზავნის შემდეგ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ამუშავებს შედეგებს და ანალიზს წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქვესტანდარტი „ნაწილობრივ შესაბამისობობას“ არ იმსახურებს.

რაც შეეხება 22-ე რეკომენდაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კითხვარები გარკვეული პერიოდის მანძილზე მიბმული იყო სწავლების ელექტრონული მართვის სისტემასთან, რამაც სისტემის ტექნიკური ხარვეზი გამოიწვია. იმის გამო, რომ არ ჩავარდნილიყო სასწავლო პროცესი, გასულ წელს კითხვარები დროებით განთავსდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ რა მიმართულებით იყო C1 დონესთან დაკავშირებით რეკომენდაცია განსაზღვრული. ინგლისური ფილოლოგიისთვის შედეგზე გასასვლელად სრულიად საკმარისი B2 +- C1 შორის მიღწეული შუალედი, რასაც ეწოდება ზღვრული განვითარებული გაძლიერებული საფეხური. ამასთან, დარგობრივი სტანდარტით და არც სხვა სავალდებულო დოკუმენტებით სავალდებულო არ არის მოთხოვნილი პროფესიული პრაქტიკის არსებობა. ამასთან უნდა აღინიშნოს მკვდარი ენები, რომელიც პროგრამის მიხედვით არჩევით სასწავლო კურსებადაა მოცემული, მაშნ როდესაც დარგობრივი ჩარჩოს სავალდებულო მოთხოვნაა ამ ენების დაუფლება.
ამასთან, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რამ განაპირობა საბაკალავრო ნაშრომის არჩევით სასწავლო კურსად განსაზღვრა. ამასთან რომელი სასწავლო კურსებით ხდება საბაზისო საბაკალავრო კვლევის უნარების განვითარება. ამასთან პრაქტიკული ენის ბლოკში გამოყენებულია საკმაოდ ძველი ლიტერატურა, მაშნ როდესაც არსებობს უახლესი მონაცემებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგეენლმა განმარტა, რომ C1 მოთხოვნა იყო პროგრამაში არსებული შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, კერძოდ პროგრამაში კურსები ისე არის დაგეგმილი, რომ ყველაფერი ამისკენ მიდის.
რაც შეხება პროფესიულ პრაქტიკას, აუცილებელია ინგლისური ენის ფილოლოგს ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილება, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, თან ამისი რეალური შესაძლებლობა რეგიონში არის.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომი პროგრამაში მუდმივად იყო განსაზღვრული სავალდებულო სასწავლო კურსის სახით, ხოლო შემდგომ შეიცვალა და შეიძლებოდა ყოფილიყო არჩევითი, რაც სტუდენტების მიერ მხარდაჭერილი იქნა შესაბამისად განხორციელდა აღნიშნული ცვლილება. დაწესებულებამ გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გაითვალისწინა როგორც კურსდამთავრებულების, ასევე სტუდენტების მოსაზრება საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, სწავლის შედეგებში არ არის მოცემულია საბაკალავრო ნაშრომია, განსაზღვრულია მხოლოდ ნაშრომი, იმის გამო რომ იყო ის არჩევითი და არა სავალდებულო. როდესაც სტუდენტები სწავლობენ რეფერირება-რეცენზირებას, ისინი ამავდროულად წერენ ნაშრომს, თუმცა რა თქმა უნდა არ იმ მოცულობით რა მოცულობითაც იწერება საბაკალავრო ნაშრომი.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:00
დასრულების დრო: 19:50
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის შეფასება. კერძოდ, 1.1, 1.2 და 1.4 კომპონენტების შეფასება ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შესაბამისად შეიცვალა პირველი სტანდარტის შეფასება და ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". ასევე 2.1. კომპონენტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", შესაბამისად შეიცვალა მე-2 სტანდარტის შეფასება და ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". 4.1 და 5.3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", 5.2 და 5.3 კომპონენტების შეფასება ნაცვლად "ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან" განისაზღვრა, როგორც "მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან", თუმცა აღნიშნულმა ცვლილებას არ გამოიწვია მე-4 და მე-5 სტანდარტების შეფასების ცვლილება.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლ ის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ინგლისური ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების წანამძღვარ ჩანაწერში ჩასწორდეს ფორმულირება - ,,ინგლისურენოვანი სპეციალისტი” პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციით (ინგლისურის ფილოლოგი); ამავე ჩანაწერში, პროგრამასთან და დარგის სპეციფიკასთან შესაბამისობაში მოვიდეს სამიზნე უნარის აღწერილობა, რამდენადაც პროგრამა (დეტალური სფეროს შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე) ვერ განავითარებს ,,სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ” გამოწვევებთან გამკლავების უნარს;

2. რეკომენდებულია, ტერმინი ADVANCED ამოღებულ იქნას პროგრამიდან და მიეთითოს B 2+ დონის რელევანტური აღწერილობა ზღვრული განვითარებული, გაძლიერებული საფეხური და სილაბუსებში მიეთითოს B 2+ დონის რელევანტური სახელმძღვანელოები;
3. მიზნების მიღწევადობის და რეალისტურობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები გამომდინარეობდეს მხოლოდ ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებში განსაზღვრული მიზნებიდან და შედეგებიდან;
4. რეკომენდებულია მე-6 და მე-7 შედეგების რეფორმულირება და მათი მიღწევადობისა და რეალისტურობის უზრუნველყოფა (დაკორექტირდეს თარგმანთან დაკავშირებული 8 8 კომპეტენციების ჩანაწერი. მე-6 და მე-7 შედეგის უზრუნველყოფა მოხდეს სავალდებულო, და არა არჩევითი კურსების საშუალებით);
5. მიზნების და შედეგების შესაბამისობაში მოყვანის კვალდაკვალ, ჩასწორდეს სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკა.
6. გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი სწავლის შედეგების რეფორმულირების კვალდაკვალ.
7. პროგრამის აღწერილობასა და თვითშეფასების ანგარიშში დაზუსტდეს ტერმინები და სწორად განისაზღვროს პროგრამისთვის გამოყენებული შეფასების მეთოდების ჩამონათვალი.
8. რეკომენდებულია, პროგრამის ცალკეული საგნების („ინგლისური ენის ლექსიკოლოგია“, „ინგლისური ენის სტილისტიკა“, „ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა“, ,,დარგობრივი ტექსტების თარგმნის თეორია და პრაქტიკა,'' ,,რეფერირება-რეცენზირება”, ,,ინგლისური ენის ისტორია'') შემთხვევაში განისაზღვროს დაშვების წინაპირობები და გამყარდეს გაცნობა გაღრმავება-განმტკიცების იერარქია;
9. ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში შეთავაზებული არადარგობრივი კურსები („კარიერული მართვა“. „მულტიკულტურული განათლება“, „კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა“). შეთავაზებული იქნას როგორც თავისუფალი კომპონენტი.
10. პროგრამის სავალდებულო სილაბუსებში („ინგლისური ენის ლექსიკოლოგია”, ინგლისური ლიტერატურის ისტორია 1, 2, 3, 4) უნდა გადაიხედოს და ჩასწორდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.
11. რეკომენდირებულია ლათინური ენა გადავიდეს სავალდებულო ბლოკში, რითაც შესაბამისობაში მოვა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ენის დაუფლების სფეროს აღმწერის სავალდებულო მოთხოვნასთან;
12. მოხდეს ,,ინგლისური ლიტერატურის ისტორიის” ოთხივე ნაწილის შინაარსის შესაბამოსობაში მოყვანა კურსის დასახელებასთან, მიზნებსა და შედეგებთან (ამოღებული იქნას ამერიკელი და ფრანგი ავტორები, შესასწავლი ავტორები შეესაბამებოდეს შესასწავლ ეპოქას).
13. რეკომენდირებულია ინგლისური ენის პრაქტიკულ ბლოკში განახლდეს სასწავლო ლიტერატურა უახლესი გამოცემებით;
14. შესაბამის მემორანდუმებსა და დანართებში განისაზღვროს პრაქტიკის მიზანი, შედეგები ხანგრძლივობა და სტუდენტების რაოდენობა.
15. რეკომენდებულია, ხარისხის სამსახურის ჩართულობა გაძლიერდეს პროგრამის მიზნების და შედეგების ურთიერთმიმართების და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად;
16. რეკომენდირებულია, პერსონალის შეფასების შედეგები (დადებითი/უარყოფითი) წერილობით ეცნობოს აკადემიურ პერსონალს ინდივიდუალურ რეჟიმში და ამ პროცესს გააჩნდეს ფორმალიზებული სახე. აღნიშნული დადებითად აისახება პერსონალის მოტივაციაზე და ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას
17. რეკომენდებულია, მოწვეული ექსპერტის მიერ პროგრამის გარე შეფასება განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით და არა უშუალოდ პროგრამის სააკრედიტაციო პაკეტის წარდგენამდე, რათა რჩევებისა და რეკომენდაციების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს მათი განხორციელება.

18. რეკომენდებულია, ხარისხის გარე მექანიზმების უზრუნველყოფისას, სათანადო ყურადღება დაეთმოს პროგრამის აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულებას.

რჩევები:

1. სასურველი იქნებოდა ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება და სამეცნიერო-კვლევითი სტატიების ინტეგრირება თეორიული და ფილოლოგის კომპეტენციის მაფორმირებელი ხასიათის („ინგლისური ლიტერატურის ისტორია", „თეორიული გრამატიკა", „ფონეტიკა", „სტილისტიკა", „ლექსიკოლოგია") სასწავლო კურსებში.
2. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში, შესთავაზოს სტუდენტებს პირად რეზიუმეებზე მუშაობაში დახმარება, დაეხმაროს დასაქმების ბაზარზე საჭირო სხვადასხვა უნარების გამომუშავებაში. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში, შესთავაზოს სტუდენტებს პირად რეზიუმეებზე მუშაობაში დახმარება, დაეხმაროს დასაქმების ბაზარზე საჭირო სხვადასხვა უნარების გამომუშავებაში.
3. სასურველია უნივერსიტეტმა გახადოს ქმედითი არსებული მექანიზმები სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში ჩართულობის უზრუნველსაყოფად;
4. იმ შემთხვევაში, თუ საგნები ,,კარიერული მართვა" და ,,კომუნიკაციის თეორია და პრაქტიკა" კვლავ იქნება შეთავაზებული, სასურველია მათთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე ლექტორების მოძიება;
5.. სასურველია, სასწავლო რესურსების გაციფრულების პროცესში ბიბლიოთეკამ გამოიჩინოს სიფრთხილე, რომ არ მოხდეს საავტორო უფლებების უნებლიე დარღვევა. სასურველია სტუდენტებთან მოხდეს მხოლოდ კონკრეტული გვერდების გაზიარება და არა წიგნების სრული ტექსტებისა;
6.. სასურველია, სტუდენტებისთვის დისტანციურ რეჟიმში ხელმისაწვდომი იყოს ყველა სამეცნიერო ბაზა, რომელზე წვდომის უფლებაც ბიბლიოთეკას გააჩნია (ამ ეტაპზე მხოლოდ ნაწილია ხელმისაწვდომი);
7. სასურველია, პროგრამის ბიუჯეტში გაიზარდოს სტუდენტური აქტივობებისთვის გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერა;
8. სასურველია საუნივერსიტეტო კითხვარები არ იყოს ღიად განთავსებული ვებ-გვერდზე, რათა არ მოხდეს გარეშე პირების მიერ კითხვარების შევსება. ალტერნატიულად, შესაძლებელია კითხვარი დაეგზავნოს სამიზნე ჯგუფს ელექტორნული ფოსტის და/ან სწავლების ელექტრონულ სისტემაში.

4.მეოთხე საკითხი : შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა DevOps" სამაგისტრო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	MES6200000876116, 22/09/2020 - საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციის შესახებ.
5		-

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი Master of Information Systems
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ავჭავაძის გამზ., #82, თბილისი, 0162, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ,,ინფორმაციული სისტემების მართვა - Devops“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით მიენიჭა 4 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენით და წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის პირობით. ამა წლის 22 ივლისს განხორციელდა აღნიშნულ პროგრამაზე გეგმიური მონიტორინგი და შემდგომ კი - ამ საკითხის განხილვა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე. საბჭოს გადაწყვეტილებით უსდ-ს დაევალა „ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაუმეტეს 60 კალენდარული დღის ვადაში გამოესწორებინა შემდეგი ხარვეზები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 15.12.2022 წლის ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიერ „ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ბრძანების თანახმად შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი. ჯგუფს გადაეცა უსდ-ს მიერ რეკომენდაციების შესრულების ამსახველი დოკუმენტაცია. ჯგუფი მუშაობდა ონლაინ რეჟიმში და ადგილზე მისვლა და შეხვედრები არ განხორციელებულა. რადგან პროგრამის შემოწმება განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის პირობებში, ექსპერტების მიერ შემოწმდა მხოლოდ ის ქვესტანდარტები, რომელშიც იქნა გაცემული რეკომენდაციები - პროგრამის შესაბამისობა მეორე სტანდარტის 2.2 კომპონენტთან და მეოთხე სტანდარტის 4.1. კომპონენტთან.

საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების მეორე და მეოთხე სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ამ პერიოდში პროგრამა საკმაოდ დაიხვეწა. თავად პროგრამა საკმაოდ ახალი და მისი ანალოგი საქართველოში არ არსებობს. პროგრამა ყველა მოთხოვნასთან შესაბამისობაშია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:05

დასრულების დრო: 20:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა DevOps" სამაგისტრო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 16

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა DevOps" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

5.მეხუთე საკითხი : სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხი;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს #803516 გადაწყვეტილება.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	დავით გურამიშვილის გამზირი N17 თბილისი მე-11 კორპუსი 0192 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ეკატერინე შაკიაშვილმა

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგი განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022

წლის 5 დეკემბრის ბრძანებით. მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი იქნა გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, სადაც ასახული იყო ინფორმაცია გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.
მონიტორინგის დროს შესწავლილი იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროექტების მართვის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს ,,მენეჯმენტის საფუძვლები“-ს სასწავლო კურსი ნაცვლად ,,ბიზნესის საფუძვლებისა“;
2. რეკომენდებულია ,,ლიდერობის პრაქტიკული ფილოსოფიის“ სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს მინიმუმ ,,მენეჯმენტის საფუძვლების“ სასწავლო კურსი ან ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სასწავლო კურსი;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები დაწესებულების მიერ მაქსიმალურად იქნა შესრულებულია და ახალი რეკომენდაციებიც საკმაოდ მოკლე ვადაში იქნება გათვალისწინებული.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო სასწავლო კურსების გაყოფაზე, რის შედეგადაც ახლა პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის სილაბუსი არის ცალკე და სტრატეგიული მართვის სილაბუსი ცალკე, თუმცა თუ შესაძლებელია დაზუსტდეს ეს სილაბუსი შეიქმნა პროგრამის მიზნებისათვის თუ სხვა პროგრამიდან არის გადმოტანილი. ამასთან, სწავლის შედეგების რუკაზე უნდა მომხდარიყო სასწავლო კურსების სწორად განსაზღვრა. ამ მიმართულებითაც როგორც იკვეთება გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა მაგალითად, როგორც ახერხებს მენეჯმენტის საფუძვლები ყველა სასწავლო შედეგზე გასვლას. ,,ადამიანური რესურსების“ სილაბუსში, მიზანშივე წერია, რომ აღნიშნული ორიენტირებულია საჯარო მოხელეებზე, შესაბამისად როგორ ახერხებს აღნიშნული ყველა სწავლის შედეგებზე გასვლას, როცა არც თემა, არც ლიტერატურა და არც შეფასების მეთოდები არ არის შესაბამისი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, საბჭოს წევრის მიერ აღნიშნული ხარვეზები რა თქმა უნდა მოცემულია პროგრამაში, თუმცა რადგან საკითხი ეხებოდა გეგმიურ მონიტორინგს აღნიშნული განსაზღვრული იქნა რჩევების სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ,,ადამიანური რესურსების მართვის“ სილაბუსი არის სხვა პროგრამის სილაბუსი რაც მაქსიმალურად ადაპტირდება უახლოეს პერიოდში მოცემულ პროგრამასთან. რაც შეეხება სწავლის შედეგების რუკებს, აღნიშნული არ არის მხოლოდ ამ პროგრამის გამოწვევა. პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში ხარისხის სამსახური ხვდება სხვადასხვა ჯგუფებს სწავლის შედეგების რუკის ფორმირების მიზნით.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:30
დასრულების დრო: 20:40
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "მთიანი რეგიონების ორგანული ფერმერული სისტემების მართვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

6.მეექვსე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხი.

7. მეშვიდე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის საკითხი.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.03.2021წ. MES 6 21 0000291510 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის 35, ბათუმი 6010, საქართველო, ბსუ-ის II კორპუსი, V სართული
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	MES 8 21 0000291512, 26/03/2021 გადაწყვეტილება,
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის 35, ბათუმი 6010, საქართველო, ბსუ-ის II კორპუსი, V სართული
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- თამარ სირაძემ და ნინო ჭალაგანიძემ.

საფუძველი- ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეექვსე და მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „სამართალმცოდნეობის" საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმდინარე წლის 11 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგი ონლაინ პლატფორმა zoom - ის მეშვეობით. ექპერტები შეხვდნენ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, ინტერნაციონალიზაციის, აკადემიური/სამეცნიერო/კარიერული კონსულტაციის დეპარტამენტის წარმომადგენლებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დაწესებულების/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს, კურსდამთავრებულებს, სტუდენტებს. შეხვედრა წარიმართა საქმიანად და საინტერესოდ, უნივერსიტეტი მზად იყო თანამშრომლობისთვის. ექსპერტებმა ონლაინ დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა, სტუდენტური პორტალი.
ექსპერტებმა პროგრამის გეგმიური მონიტორინგის დროს დაადგინეს, რომ უნივერსიტეტს შესრულებული აქვს აკრედიტაციის საბჭოს 26.03.2021 წლის გადაწყვეტილებით მიღებული რეკომენდაციები და ახალი რეკომენდაციების საჭიროება არ გამოკვეთილა.
სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო და "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები სრულიად იქნა გათვალისწინებული.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:50
დასრულების დრო: 21:05

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 - ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 28 დეკემბერს ცენტრში წარმოდგენილი იქნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის №1670230 წერილი, რომელშიც დაწესებულება აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 18 იანვრის №38064 და №38065 გადაწყვეტილებებით, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ რუსულენოვანი საბაკალავრო და „საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს მიენიჭათ 7 წლიანი აკრედიტაცია, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით (2022 წლის 28 დეკემბრამდე). ასევე დაწესებულება წერილში აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი სრულად იზიარებს საბჭოს გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულ ყველა რეკომენდაციასა თუ რჩევას და განსაზღვრული 1 წლიანი პერიოდი მაქსიმალურად გამოიყენა მათი შინაარსობრივი შესრულების მიზნებისათვის. თუმცა, ობიექტური მიზეზების გამო

(პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა, თანმიმდევრული ფორმალური პროცედურა, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ცვლილება და სხვ.), საჭიროება მოითხოვს, ანგარიშების სრულყოფილად წარსადგენად, მიეცეთ დამატებით 1 თვე. საბჭომ დააკმაყოფილა დაწესებულების მიერ დაყენებული შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 28 დეკემბერს წარმოდგენილ წერილით მოთხოვნილი შუამდგომლობა ვადის გადაწევასთან დაკავშირებით.

ცენტრის თანამშრომელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის 26 დეკემბერს ცენტრში წარმოდგენილი იქნა სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის №1654617 წერილი, რომელშიც დაწესებულება აღნიშნავს, რომ დეკემბრის მიწურულს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას დაუდგინდა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციებზე ანგარიშების წარდგენის ვადები. ასევე დაწესებულება წერილში აღნიშნავს, რომ მოცემულ მომენტში დაწესებულების მიერ სამი ფაკულტეტის ფარგლებში, წარმოდგენილი იყო 60 საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 8 კლასტერულად. შესაბამისად, გადაიხედა და გაანალიზდა საკმაოდ დიდი მასშტაბის ინფორმაცია და მომზადდა რეალურად ამდენივე სააკრედიტაციო პორტფოლიო. ასევე მზადდება აკრედიტაციის საბჭოს წინაშე წარსადგენი ანგარიშები. აქტობრივი გარემოებები მოითხოვს, რომ ანგარიშების სრულყოფილად წარსადგენად, მიეცეთ დამატებით 1 თვე. საბჭომ დააკმაყოფილა დაწესებულების მიერ დაყენებული შუამდგომლობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 26 დეკემბერს წარმოდგენილ წერილით მოთხოვნილი შუამდგომლობა ვადის გადაწევასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2023 წლის 20 იანვრის 21:20 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით